

გამოხმაურება RESPONSE

მერაბ ლალანიძე
საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
merabghaghanidze@yahoo.com
DOI: 10.32859/kadmos/16/183-197

არაქართველი მქადაგებლის ქართულ ქადაგებათა კრებული

უცნობი ავტორი, წმინდა წერილის სწავლებანი ქართულ ენაზე, I, გამომცემლები: ნინო დობორჯგინიძე, მაია დამენია, თამარ ჭეიშვილი, ანა ჭკუასელი, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024, 206 გვ.

უცნობი ავტორი, ქადაგებანი ქართულ ენაზე, II, გამომცემლები: ნინო დობორჯგინიძე, მაია დამენია, თამარ ჭეიშვილი, ანა ჭკუასელი, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024, 600 გვ.

ახლახან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ორ წიგნად გამოსცა ქართულად დაწერილ ბიბლიურ განმარტებათა და ქადაგებათა კრებული. ამ ტექსტების ხელნაწერები, ორ ცალკეულ შენაკრებად, მქადაგებლის მითითების გარეშე, ამჟამად ინახება კაპუცელთა ორდენის მთავარ არქივში (Archivio Generale Cappuccini), რომში. ეს სწავლებანი, როგორც ჩანს, თავდაპირველად, წარმოითქვა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, არაქართველი მოძღვრის მიერ, ქართველ კათოლიკე მორწმუნეთა წინაშე. გამოცემის წინათქმაში, გამომცემელთა მიერ, გამოთქმულია ვარაუდი, რომ მათი ავტორი უნდა იყოს იტალიელი მისიონერი, ბერნარდინო და მალიანო.

მას შემდეგ, რაც ორ საუკუნეზე მეტი ხნის ნაწერების ესოდენ მოზრდილი ნაკრები (ბიბლიური განმარტებანი მოიცავს ოცდაერთ ტექსტს, ხოლო ქადაგებათა რაოდენობა სამოცდაექვსია), წიგნებად დაბეჭდვის შემდეგ, ადვილად ხელმისაწვდომი გახდა მკვლევართათვის, უთუოდ წამოიჭრა აუცილებლობა, გაირკვეს გამოქვეყნებული ტექსტების მნიშვნელობა და ღირებულება, – მთლიანად თუ ცალკეულად; ნამდვილად საჭიროა, მიეჩინოს მათ შესაბამისი ადგილი არა

მარტო ქართულ ჰომილეტიკურ მემკვიდრეობაში, რომელიც მოიცავს სასულიერო შინაარსის ქადაგებათა მრავალსაუკუნოვან დანატოვარს, არამედ, ასევე, ეროვნულ ისტორიაში, ეკლესიის ისტორიაში, საჯარო ცხოვრებისა თუ კულტურის ისტორიაში, ინტელექტუალურ ისტორიაში; ამასთანავე, უეჭველად ნაყოფიერი იქნება მათი საგანგებო შესწავლა ლინგვისტიკური, ლიტერატურისმცოდნეობითი თუ ეთნოლოგიური თვალსაწიერიდან.

ზოგადად, ქადაგებას თუ ბიბლიური მონაკვეთების ზეპირ განმარტებას, – ერთსაც და მეორესაც, – სათავე ედება ქრისტიანობის აღმოცენებისთანავე, ანუ იესო ქრისტეს მოღვაწეობიდან, რასაც აგრძელებდნენ მისი მოწაფეები, მოციქულები, რომლებიც ეფუძნებოდნენ იესოსეულ მოწოდებას: “წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა” (წმიდა მარკოზ მოციქულის სახარება, 16:15).

შემდგომი დაწესებით, ქრისტიანული ქადაგება, საერთოდ, არის სასულიერო პირის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც წარმოადგენს და განმარტავს ქრისტიანული მოძღვრების არსს და, ამასთანავე, მოუწოდებს მორწმუნეებს ქრისტიანული ზნეობის დასაცავად¹.

კათოლიკურ საეკლესიო ცხოვრებაში მქადაგებლობას განსაკუთრებული, ახალი სუნთქვა შესძინა წმიდა დომინიკემ (გუზმანი; 1170-1221) და მის მიერ დაარსებულმა საძმომ – მქადაგებელთა, ანუ დომინიკელთა ორდენმა (Ordo Praedicatorum), რომელმაც ამოცანად დაისახა ქადაგების წარმოსათქმელად (და ამ გზით ქრისტიანული სარწმუნოების განსამარტავად, განსამტკიცებლად, გასავრცელებლად) სამღვდელო პირთა საგანგებო მომზადება არა მარტო სულიერად, არამედ, ასევე, ინტელექტუალურად, – თეოლოგიური საუნივერსიტეტო წრეობით² (ღირსშესანიშნავია, რომ სწორედ დომინიკელთა ორდენის წევრები აღმოჩნდნენ ლათინური წესის კათოლიკობის უპირველესი შემომტან-დამამკვიდრებელნი საქართველოში, ხოლო კათოლიკურ საეპისკოპოსო კათედრას, ტფილისში, მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე სა-

1 ქადაგების ისტორიის მოკლე მიმოხილვა ადრეულ თუ გვიანდელ ქრისტიანულ ტრადიციაში: Hermigild Dressler, “History of Preaching, I”, *New Catholic Encyclopedia*, 2nd ed., Vol. 11, Detroit/New York [etc]: Thomson/Gale, 2003, p. 606-615; ღირებული, მრავალმხრივი კვლევითი კრებული შუასაუკუნეობრივ ქადაგებათა შესახებ: *Speculum Sermonis: Interdisciplinary Reflections on the Medieval Sermon*, Ed. by Georgiana Donavin, Cary J. Nederman, Richard Utz, Turnhout: Brepols, 2004, –განსაკუთრებით ფართოდ და საფუძვლიანად: Leo Carruthers, “The Word Made Flesh: Preaching and Community from the Apostolic to the Late Middle Ages”, p. 3-27.

2 წმიდა დომინიკესა და დომინიკელებთან დაკავშირებით უახლესი წიგნებიდან: Richard Finn, *Saint Dominic and the Order of Preachers*, London: Catholic Truth Society, 2016; Donald J. Goergen, *Saint Dominic: The Story of a Preaching Friar*, New York: The Paulist Press, 2016.

უკუნეების განმავლობაში, დაწყებული პირველი ეპისკოპოსიდან, უმთავრესად დომინიკელები მართავდნენ³).

კათოლიკური რეფორმაციის შემდგომ, ტრიდენტის კრების (1545-1563) დადგენილებათა შესაბამისად, ქადაგება გახდა საზეიმო თუ რიგითი კათოლიკური ლიტურგიის აუცილებელი ნაწილი⁴.

რაც შეეხება ადგილობრივ ტრადიციას, ქართული ჰომილეტიკური მემკვიდრეობა, რომელიც უმეტესწილად მოიცავს პატრისტიკული ეპოქის ბერძნულენოვანი ავტორების, – წმიდა მამათა და მოძღვართა, – მიერ წარმოთქმულ და ჩაწერილ ქადაგებათა თარგმანებს, ის არა მარტო შთამბეჭდავად მრავალრიცხოვანია ძველი საქართველოს წერილობით ტექსტებს შორის (არაერთი “მრავალთავის” ძირითად ბირთვს სწორედ ჰომილეტიკური ტექსტები შეადგენს), არამედ, თვით ეროვნულ ავტორთა მხრივ, ქრონოლოგიურად თვალსაჩინოდ ხანგრძლივიც აღმოჩნდა: იოანე ბოლნელით დაწყებული, მეათე საუკუნის დასაწყისიდან, ამბროსი მიქაძე-ნეკრესელით დამთავრებული, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან⁵ (თუმცა უნდა ითქვას, რომ ტრადიციის ხილული წყვეტა, ფაქტობრივად, არც შემდგომ შეიმჩნევა). ქართველ მქადაგებელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სულხან-საბა ორბელიანი, რომელსაც ეკუთვნის ქადაგებათა მოზრდილი კრებული, – “სწავლანი”⁶.

3 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე*, ტფ., 1902, გვ. 28-68; მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ.: კანდელი, 1995, გვ.496-506.

4 ლიტურგიული ჰომილეტიკის შესახებ: Guerric DeBona, *Fulfilled in Our Hearing: History and Method of Christian Preaching*, New York/Mahwah, New Jersey: Paulist Press, 2005, p. 78-124.

5 მიმოხილვით-ბიბლიოგრაფიული მასალები ქართული ჰომილეტიკის შესახებ: კორნელი კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია: ორ ტომად*, ტომი პირველი, თბ.: მეცნიერება, 1980, გვ. 551-558; ენრიკო გაბიძაშვილი, *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები: ბიბლიოგრაფია*, 3: ჰომილეტიკა, თბ., 2009; ნინო მელიქიშვილი, მანანა მაისურაძე, “ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური ლიტერატურა”, წგ-ში: *ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან*, I, თბ.: აღმსარებელი, 2012, გვ. 263-598; ენრიკო გაბიძაშვილი, *ძველი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია*, თბ.: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამ-ბა, 2015, გვ. 139-244.

6 სულხან-საბა ორბელიანი, *თხზულებანი: ოთხ ტომად*, ტომი III, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1963, გვ. 19-223; საგანგებო გამოკვლევები კრებულისა და მისი ჩამოყალიბების შესახებ: ივანე ლოლაშვილი, *სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698-1713)*, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამ-ბა, 1959, გვ. 45-103; ელისო კალანდარიშვილი, *ქრისტიანული მქადაგებლობა და სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიები*, თბ.: უნივერსალი, 2005.

ამჟამად გამოქვეყნებულ სწავლება-ქადაგებათა ავტორი, მქადაგებელი, რომელიც მორწმუნე კათოლიკეთა საკრებულოს მიმართავს, იმთავითვე მიჰყვება ქადაგებას “წმიდა წერილის სწავლებისაგან”, ანუ ცალკეული ბიბლიური მონაკვეთების განმარტებისაგან: “ამას იქით, კვირას საღამოს, ქადაგების მაგიერათ, ორ-ორი სამღთო წერილის სიტყვანნი მინდა გითარგმანო” (I, 3)⁷. აშკარად ჩანს, რომ ქადაგებათა ჩვეულებრივ მოსმენას, – როგორც წირვის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, – ხან ემატება ან ანაცვლებს სწავლებანი წმიდა წერილის განსამარტავად, რაც იმას მეტყველებს, რომ ეკლესიაში მყოფთათვის აუცილებელი და ჩვეულებრივი იყო (ან უნდა ყოფილიყო) ბიბლიის ცოდნაც და მისი გონიერი გააზრებაც (ხელნაწერი, რომელიც, როგორც ჩანს, ნაკლულია, მოიცავს მხოლოდ ერთი ბიბლიური წიგნის, – ძველი აღთქმისეული მეფეთა პირველი წიგნის, – განმარტებებს).

მაგრამ, რაკი მოძღვარი ეკლესიის შვილებს მოუწოდებს, რომ “უნდა გაძლიერდეთ მხურვალეს ლოცვებითა, მარხვითა, სამადლოთი, წმიდა ფიქრებითა და ხშირის განდობითა; არ უნდა იყაბულოთ, ვითარმედ მარტო წაიკითხოთ ზოგერთი წმიდა წიგნი, თქვათ ზოგერთი სავარდი და ისმინოთ ზოგერთი ქადაგება” (I, 160-161), ცხადად ჩანს დამოკიდებულება, რომ კათოლიკისათვის სრულებით არაა საკმარისი (“საყაბულო”) მხოლოდ კითხვა, ლოცვის თქმა⁸ და ქადაგების მოსმენა. ამ საქმეთა გარდა და მათს გვერდით, აურიდებელია სხვა ქრისტიანული სიქველევების აღსრულება, – გამოკვეთილადაა განმარტებული, რომ მორწმუნე ადამიანის ცხოვრება მთლიანი უნდა იყოს და მისი ყოველი ნაწილი არსებითია: მარხვისა და ქველმოქმედების (“სამადლოს ქმნა”), განაზრებისა (“წმიდა ფიქრები”) და აღსარების (“განდობა”) აუცილებელი ჩათვლით.

თავის მხრივ, ქადაგებებიდან ნათლად გამოსჭვივის, რომ საკრებულოს წევრთათვის ცნობილია, თუ როგორი უნდა იყოს სანიმუშო კათოლიკის ცხოვრება ან კათოლიკის სანიმუშო ცხოვრება. ამიტომაც ისმის მოწოდებად, რომ მათ, ხსნის მოსაპოვებლად, ამ ნიმუშთან შესაბამისად უნდა იცხოვრონ: “კარგს კათოლიკესავით იცოცხოლოთ და ცხონდეთ” (II, 422), თუმცა გაცნობიერებულია ისიც, რომ ამგვარი მიზანი ყოფითს გარემოში უმეტესად ირღვევა: “ცოტანი არიან ისინი, რომელნი კარგს კათოლიკესავით ცოცხლობენ” (II, 435). ამავ დროს, ყოველი ქრისტიანისათვის უმთავრეს სიქველედ რჩება მოყვასის (“ამხანაგის”) სიყვარული, რასაც ბევრი მათგანი ივიწყებს: “კარგათ

7 ტექსტები დამოწმებულია ციტატის მოყვანისთანავე, ტომისა და გვერდის მითითებით; პუნქტუაცია შესწორებულია თანამედროვე წესების მიხედვით.

8 დასახელებულია “სავარდის” საგანგებო ლოცვა (“გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ” – “Ave, Maria, gratia plena”), რომლის ყოველდღიური წარმოთქმა აუცილებელია კათოლიკისათვის.

ვიცი, რომ მრავალის კათოლიკეების გულისაგან ამხანაგის სიყვარული სრულიათ გაშორებული არის” (II, 501), რის გამო “ზოგერთის გულში სარწმუნოება კინალამ მკუდარი არის” (II, 501).

შესაბამისად, ქადაგებანი შეაგონებს მორწმუნეებს, რომ სულაც არაა საკმარისი კათოლიკედ ყოფნა (რაც მათ თუნდაც ბუნებრივად განაშორებდეს ეგრეთ წოდებულ “მწვალებელთაგან”), არამედ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, იყვნენ ისინი კარგი კათოლიკეები: “სარწმუნოება, რომლითა გრწამსთ, რომ დესო ქრისტე, მართლათ იყოს წმიდა ზიარებაში, იქს, რომ თქვენ კათოლიკეები იყოთ და გაყოფილნი იყოთ მწვალებელთაგან, მაგრამ სარწმუნოება, რომელი იქს, რომ თქვენ ირწმუნოთ და ჰქნათ კარგი საქმენი, არათუ მარტო იქს, რომ კათოლიკეები იყოთ, მაგრამაც კარგი კათოლიკეები იყოთ” (II, 278).

მქადაგებელი არწმუნებს მსმენელებს, რომ ამქვეყნად არსებული განსაცდელი ადამიანთა ცოდვის შედეგია (ამ შემთხვევისასაც, იგი სავსებით მისდევს ქრისტიანულ მოძღვრებას), რისი დადასტურება მოიპოვება ბიბლიურ წიგნებში (აქვე გახმიანდება მორიგი მოწოდება მათს წასაკითხავად): “წაიკითხეთ წმიდა წერილი, რომ უთუოთ იპოვნით, რომ სულ დამარცხება და უბედურობა, რომლითა ღმერთმან გაუწყრა ადამიანებსა, სულ გამოსულა ადამიანების ცოდვებისათვის” (II, 497). სამყაროს სურათი კი შემადრწუნებელია, რადგან ირგვლივ ვარამს დაუსადგურებია: “ყოველგან დამარცხება იპოვება; ცხადათ ბედნიერობა აღარ არის; მრავალი სახლებში სხვა არ იპოვება, თუ არ ღარიბობა და დაღონება; კინალამ ყოველგან შიმშილობა და ძვირობა მუდამ მოემატება; მიწისძვრა ჩაღუპავს ბევრს ქალაქებს და სოფლებსაც; ჟამის ჭირი წაახდენს ბევრს ქვეყანას; სეტყვა აქცევს სულ მინდორის ხილსა; ომი საშინელათ აენთება და აავსებს მინდორსა კათოლიკეების სისხლითა” (II, 496). არაა ადვილი, დაუეჭვებლად განისაზღვროს, რატომაა დასახელებული ომის მსხვერპლთა შორის მხოლოდ და მხოლოდ კათოლიკენი, მაგრამ სავარაუდოა, რომ მქადაგებელი აღიარებს კათოლიკეთა საგანგებო პასუხისმგებლობას სამყაროსეულ შეჭირვებათა წინაშე და, შესაბამისად, კათოლიკური საკრებულოს წევრებს მოაგონებს, რომ სწორედ მათ მოუწევთ, საკუთარ თავზე იწვნიონ ნაცვალგების კანონზომიერება.

ღმრთისმსახურებაზე მყოფ მორწმუნეებს მქადაგებელი განუხრელად აუწყებს ქრისტიანული თავისუფლების და, შესაბამისად, ადამიანის მიერ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის არსს, – რომ არჩევანის გაკეთება მთლიანად, სრულიად კერძო ადამიანის ხელთაა: “დესო ქრისტე არავის ძალს არა ატანს, რომ იაროს ვიწრო გზაზე იმასთანა

და არც ეშმაკი არავის ძალს არა ატანს, რომ წავიდეს იმასთა⁹ განიერს გზაზე; აბა, ყოველი თავის ნების პატრონი არის და როგორც უნდა და ეამება, ისრე შეუძლია წასულა ანუ ერთზე, ანუ მეორეს გზაზე” (II, 426). ამგვარი მსჯელობა, რა თქმა უნდა სწორედ კათოლიკურია და სრულიად გამორიცხავს, უპირისპირდება წინასწარგანსაზღვრულობის (praedestinatio) პროტესტანტულ-რეფორმაციულ სწავლებას¹⁰.

აღსანიშნავია, რომ ქადაგებებში მკაფიოდ გასაგონია არა მარტო მოსალოდნელი შეგონება მორწმუნეთა მიმართ, მათ მიერ ქრისტიანულ მცნებათა აღსასრულებლად, მათი ზნეობრივი ცვლილებისაკენ, ზნეობრივი განწმედისა და ამაღლებისაკენ, მუდმივი სულიერი ზრდისაკენ, არამედ გაცხადებულად ისმის მოხმობა, საყოველთაო მოწოდება წმიდანობისაკენ, – რომ ყოველ ადამიანს აქვს მინიჭებული შესაძლებლობაც და მოვალეობაც, გახდეს წმიდანი, – რაც კათოლიკური მოძღვრების ერთ-ერთი საფუძველია: “არათუ მარტო შეგვიძლია, რომ დიდი წმიდანნი შევიქნათ, რაგინდ დიდი ცოდვილნი ვიყოთ, მაგრამაც რომ ვალი გვაქვს, რომ დიდი წმიდანნი შევიქნათ” (II, 441).

ბუნებრივია, კათოლიკე მღვდელმსახურს არ აეჭვებს კათოლიკური სარწმუნოების სრული ჭეშმარიტება, მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის მტკივნეული აღმოჩენილა ბრალდება, – რაც, ალბათ, მას ქრისტიანობის ბიზანტიური შტოს და, კერძოდ, ქართული ეკლესიის წარმომადგენელთა მხრივ ესმოდა, – რომ მართლმადიდებელი სარწმუნოების ოდინდელი, ურყევი მიმდევარნი სწორედ ისინი და მხოლოდ ისინი არიან, ხოლო კათოლიკეებმა დათმეს თავდაპირველი მოძღვრება ან, კიდევ მეტი, ხელახლა შექმნეს რაღაც ახალი სარწმუნოება თუ სწავლება. ამ თვალსაზრისს, გარემოს გათვალისწინებით, მქადაგებელი შეაგებებს საკუთარ მტკიცე რწმენას, რომელიც, ზოგადად, კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებას ეფუძნება, რომ კათოლიკური სარწმუნოება, რომელსაც ქრისტიანობის რომაული შტო წარმოადგენს, სწორედაც უძველესი და პირვანდელი ქრისტიანობაა: “წმიდა კათოლიკე სარწმუნოება ასწავლის, და ეს სარწმუნოება ერთი ახალი სარწმუნოება არ არის, როგორც ზოგნი უმეცარნი იტყვიან, მაგრამ ერთი დიად ძველი სარწმუნოება არის” (II, 217).

აღიარებულია, რომ ერთ-ერთი უმთავრესი განსხვავება თუ განხეთქილება, – საუკუნეთა წიაღ, – ამ ორი შტოს ქრისტიანთა შორის, შეეხება საიქიო ცხოვრების დაყოფა-დანაწილებას: თუ ბიზანტიური შტო მიწიერი ცხოვრების მიღმა მხოლოდ სამოთხესა და ჯოჯოხეთს აღიარებს, რომაული შტო ამტკიცებს მათ შორის, ასევე, განსაწმედ-

9 სავარაუდოდ, უნდა იყოს: “იმასთან”.

10 იხ. A. G. Palladino, “Predestination”, *New Catholic Encyclopedia*, 2nd ed., Vol. 11, p. 647-657.

ლის (იგივე სალხინებლის) არსებობას¹¹. ქადაგებათა ავტორის, – ბუნებრივად, კათოლიკური მოძღვრების მიმდევრის, – სიტყვებით, “განსაწმედელი უეჭველათ არის” (II, 217), ხოლო ეს “ჭეშმარიტება სულ კათოლიკებთ ჰრწმენენ” (II, 218)¹². მქადაგებელი ამგვარად აღწერს განსაწმედელში მყოფ გარდაცვლილთა სულიერ მდგომარეობას (რომელიც არაა მუდმივი, – ჯოჯოხეთისა და სამოთხისაგან განსხვავებით) და, ამ მდგომარეობაში ყოფნისას, ცოდვებისაგან მათს ცეცხლისმიერ განწმენდას: “თუ ის ცეცხლი ტანჯავს და აწამებს მათ, ამას იქს, რათა ჩკარათ გაიწმინდონ და გამოვიდნენ იმ სატანჯველების ადგილისაგან” (II, 260); მაგრამ, ამასთანავე, იგი მიმართავს მორწმუნეებს და შეახსენებს მათს მოვალეობას გარდაცვლილთა, – განსაწმედელში მყოფთა, – მიმართ: “თუ თქვენ მოწყალენი იქნებით იმ სულებზედა, როგორც დავალებულნი ხართ და სულ თქვენის ძალითა უშველით მათ, რათა ჩკარად გამოვიდნენ იმ საშინელის ცეცხლისაგან და მივიდნენ სასუფეველის დიდებაში, თქვენ კურთხეულნი იქნებით ღმერთისაგან ამ ქვეყანაში და თქვენის სიკუდილის უკან თუ მიხვალთ განსაწმედელში, ღმერთი იქს, რომ ცოცხალთა გიშველონ და ასრე ადრე გიხსენს თქვენის სატანჯველებთაგან და წაგიყვანს სასუფეველში თავის ღმერთიურის სახიერების სალხინებმად¹³, რომ ღმერთმან გაღირსოსთ” (II, 260-261). ამგვარად, სწორედ განსაწმედლის სინამდვილეს ეფუძნება მიცვალებულთა სულებისათვის ცოცხალთა ლოცვის არა მარტო საზრისიანობა, არამედ საჭიროებაც. ამქვეყნად მყოფმა არასოდეს იცის, სად იმყოფება იმქვეყნად მყოფი (გარდა წმიდანებისა), მაგრამ სწორედ ამის გამო ლოცვას იმსახურებს ყოველი გარდაცვლილი, რომელიც, შესაძლოა, რომ სწორედ განსაწმედელში იმყოფებოდეს. კიდევ, თვალნათლივ მჟღავნდება კათოლიკური ნაცვალგების წესი: ვინც ილოცებს განსაცდელში მყოფთათვის, ილოცებენ მისთვისაც, როცა იგი განსაცდელში აღმოჩნდება.

11 შდრ. სულხან-საბა ორბელიანი: “განსაწმედელი – რომელი არს სალხინებელი, სადა არს მონანულთა ცოდვილთა სულთა სამყოფი” – სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, თბ.: მერანი, 1991, გვ. 141; ნიკო ჩუბინაშვილი: “განსაწმედელი (სულთა ცოდვსაგან, ჰაზრისაებრ პაპისტთასა)” – ნიკო ჩუბინაშვილი, *რუსულ-ქართული ლექსიკონი*, II, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1973, გვ. 648; მერაბ ლალანიძე, “სულხან-საბა ორბელიანი და კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება”, *წგ-ში: მერაბ ლალანიძე, ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 2/1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021, გვ. 45-49.

12 განსაწმედლის შესახებ: Reginald Garrigou-Lagrange, *Life Everlasting and the Immensity of the Soul: A Theological Treatise on the Four Last Things: Death, Judgment, Heaven, Hell*, Rockford: Tans Books and Publishers, 1991, p. 147-201 (ფრანგული ორიგინალი: Reginald Garrigou-Lagrange, *L'Éternelle vie et la profondeur de l'âme*, Paris: Desclée, de Brouwer, 1949); Helmut Vordermayer, *Die Lehre vom Purgatorium und die Vollendung des Menschen: Ein moraltheologischer Beitrag zu einem umstrittenen Lehrstück aus der Eschatologie*, Innsbruck: Tyrolia, 2006.

13 სავარაუდოდ, უნდა იყოს: “სალხინებლად”.

კიდევ, მქადაგებელი აცხადებს, რომ იესო ქრისტეს აღდგომისას, მაცხოვარმა მართალთა სულები ამოიყვანა არა ჯოჯოხეთიდან, არამედ სწორედ განსაწმედლიდან, ხოლო ამ თვალსაზრისს აფუძნებს დასავლური ეკლესიის მოძღვართა გამონათქვამებზე: “წმიდა გრიგოლი პაპი, წმიდა აგვისტინე და წმიდა ანსელმე იტყვიან, ვითარმედ, როდის ძესო ქრისტე მკუდრეთით აღდგა, სულ განსაწმედელის სულები დაიკსნა” (I, 31).

აღსანიშნავია, რომ ბიბლიურ მონაკვეთთა განმარტებისას თუ საზოგადო ქადაგებისას, მსჯელობა ემყარება როგორც წმიდა წერილს, ასევე განსჯითს, ლოგიკურ დასაბუთებასაც. ერთგან, – თუნდაც, კერძო საღმრთისმეტყველო საკითხის განხილვისას, – გაცხადებულია სწავლების ზოგადი საფუძველი: “საძირკველი ორი არიან: ერთი არის სამღთო წერილის მოწმობა და მეორე არის ჭკუიანობის საბუთი” (I, 38). ამდენად, მღვდელმსახური ამჯერადაც ეფუძნება კათოლიკურ მოძღვრებას და გამორიცხავს სარწმუნოების ერთადერთ საფუძვლად ბიბლიური წიგნების – წმიდა წერილის აღიარებას (პროტესტანტული: “Sola scriptura”), რადგან მისთვის, როგორც კათოლიკისათვის, ღირებული და აუცილებელია არა “მხოლოდ”, არამედ “და” (et)¹⁴.

ამავე დროს, მეტად შესამჩნევად, მსჯელობათა ბურჯად თუ საბუთად მოხმობილია წმიდა მამათა და ეკლესიის მოძღვართა (Doctores Ecclesiae) განსჯანი, რაც უჩვეულო არაა, ზოგადად, ჰომილეტიკისათვის, რომელიც წინამორბედთა დამოწმება-მითითებას ეყრდნობა ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევისას, განსაკუთრებული ისაა, რომ, ქართულად წმიდა წერილის განმარტებისას თუ ქადაგებისას, ქართულ გარემოში შემოდის არა მარტო აღმოსავლეთის საქრისტიანოს მამები (რაც ჩვეულებრივი იყო საუკუნეთა განმავლობაში): იოანე ოქროპირი¹⁵, კირილე ალექსანდრიელი (“ჩირილლო ალესანდრიელი” – II, 412), დიონისე არეოპაგელი (“დიონისიო არეოპაჯითელი” – II, 16), იოანე დამასკელი, არამედ, ასევე, დასავლეთის საქრისტიანოს მამები: ირინეოსი, ამბროსი, იერონიმე, ავგუსტინე (“ავგისტინე” – II, 262; II, 428; II, 436), გრიგოლ დიდი, ისიდორე, პეტრე დამიანელი, ანსელმე, ბერნარდე, ბონავენტურა (“ბონავენტურა” – II, 36, 275, 513), ხოლო, მათ შორის, განსაკუთრებით ხშირად, თომა აკვინელი: “ასრე იტყვის

14 კათოლიკური “და”-ს მნიშვნელობის შესახებ: Hans Urs von Balthasar, *Der antirömische Affekt: Wie lässt sich das Papsttum in der Gesamtkirche integrieren?*, Freiburg: Verlag Herder KG, 1974, S. 248-253 (ინგლისური თარგმანი: Hans Urs von Balthasar, *The Office of Peter and the Structure of the Church*, San Francisco: Ignatius Press, 1986, p. 301-307).

15 სხვათა შორის, ნიშნულია, რომ იოანე ოქროპირის მოღვაწეობის ქალაქად დასახელებულია არა კონსტანტინოპოლი, არამედ სტამბოლი, როგორც ერქვა უკვე ოსმალეთის დედაქალაქს, მქადაგებლის ხანაში: “წმიდა ოქროპირი ქადაგობდა სტამბულის ქალაქში” (II, 446).

წმიდა თომა აქვინელი” (I, 82), “ასრე ბაასობს წმიდა თომა აქვინელი” (I, 83), “წმიდა თომა აქვინელი პასუხებს და იტყვის” (I, 155), “იტყვის წმიდა თომა აქვინელი” (II, 15,16), “ასრე იტყვიან წმიდა მამანი და მეტადრე წმიდა თომა აქვინელი” (II, 147) და ა. შ. საკითხი, რა თქმა უნდა, საგანგებო ძიება-გამოკვლევას საჭიროებს, მაგრამ შესაძლოა ითქვას, რომ საქმე გვაქვს წმიდა თომა აკვინელის ერთ-ერთ პირველ წერილობით ხსენებასთან და მითითებასთან ქართულად. არაა გამორიცხული, ჩაღრმავებული შესწავლის შედეგად აღმოჩნდეს, რომ დამოწმებისას მქადაგებელი თარგმნის კიდევ ქართულ ენაზე ცალკეულ ნაწილებს წმიდა თომას თხზულებათაგან (ისევე, როგორც სხვა ღმრთისმეტყველთა ნაწერებიდან).

გასათვალისწინებელია, რომ, კერძოდ, იმ დროისათვის, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულისათვის, როცა წარმოითქმებოდა და იწერებოდა ეს სწავლებანი თუ ქადაგებანი, კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებად (დოქტორებად) გამოცხადებული იყო თხუთმეტამდე მამა, მათ შორის, ძველი ეკლესიის დროიდან – ოთხი აღმოსავლელი და ოთხი დასავლელი მამა¹⁶ (დასახელებულთაგან, კირილე ალექსანდრიელი და იოანე დამასკელი, პეტრე დამიანი და ბერნარდე კლერვოელი შეემატა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში, ხოლო ირინეოს ლიონელი – ახლახან, ოცდამეერთე საუკუნეში).

ამას გარდა, ღირსშესანიშნავია, რომ ქადაგებათა ტექსტებში დამოწმებულია, თუმცა მკრთალად, ანტიკური სამყაროს ფილოსოფოსებიც, – ისინი, რომელთა სახელები, თითქმის ყოველთვის, გამოჩნეულად ძვირფასი იყო ქრისტიანთათვის: ანაქსაგორა (“ანაზაგორა” – II, 363), პლატონი (“ფლატონე, ფილოზოფოსთა მთავარი” – II, 114), არისტოტელე (“არისტოთილე, ფილოზოფოსთა მთავარი” – II, 313), სენეკა (“სენეკე” – II, 113)¹⁷.

ისიც შესაძინევია, რომ ქადაგებებში მაგალითებად, განსახილველად, სამსჯელოდ არაერთგზის მოყვანილია ხოლმე რომელიმე გარდასული ამბავი ევროპის სამოქალაქო ისტორიიდან თუ დასავლური ეკლესიის ისტორიიდან. ასევე, ზოგჯერ, სახელდებით დამოწმებულია ან, კიდევ მეტი, შესაძლოა, პირდაპირ ნათარგმნია მონაკვეთები ანტი-

16 ეკლესიის მოძღვართა შესახებ – ოდნავ მოძველებული, მაგრამ მაინც აქამდე მნიშვნელოვანი ნაშრომები: Bernard McGinn, *The Doctors of the Church: Thirty-Three Men and Women Who Shaped Christianity*, New York: A Crossroad Book, 1999; Christopher Rengers, *The 33 Doctors of the Church*, Rockford: Tans Books and Publishers, 2000; ამაჟამად, 2024 წელს, კათოლიკე ეკლესია აღიარებს ეკლესიის ოცდაჩვიდმეტ მოძღვარს.

17 ანტიკურ ფილოსოფოსთა მეშვიდრეობის (კერძოდ, პლატონის, არისტოტელეს, სენეკას) აქტუალურობის შესახებ ქრისტიანული ტრადიციისათვის – ძველი და მოკლე, მაგრამ საფუძვლიანი და მომცველი მიმოხილვა: Christopher Dawson, *The Making of Europe: An Introduction to the History of European Unity*, Washington: The Catholic University of America Press, 2003, p. 52-67.

კურ მემატიანეთა თუ ბუნებისმეტყველთა ნაშრომების დასავლურენოვანი ვერსიებიდან (ამგვარი, არცთუ მცირერიცხოვანი ცალკეული მონაკვეთების უშუალო თარგმანის შესაძლებლობას სრულიადაც არ გამორიცხავენ ორტომეულის გამომცემლები – I, VI).

თუმცა, ამ გარემოებათა გათვალისწინებით და ამასთან ერთად, მაინც საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ მქადაგებელი მკაფიოდ მიმართავს სწორედ იმ კათოლიკეებს, რომელთათვისაც საურთიერთო ენა ქართული იყო და რომლებიც იმჟამად საქართველოში ცხოვრობდნენ, ან, უფრო ზუსტად, როგორც ტექსტებიდან ცხადად ჩანს, ტფილისში სახლობდნენ: “ჰაჲ, თიფლისელი კათოლიკებო, თიფლისელი კათოლიკებო!” (II, 31), “ღმერთი იტყვის, ჩემი თიფლისელი კათოლიკები მე დამიტევეს, რომ წყარო წყლისა ცხოველისა ვარ და საუკუნო ცხოვრებას მივსცემ მათ, რომელთ ჩემი სიყვარული აქვსთ” (II, 30), “ღმერთი ჩივის თქვენზედა: ერმან ჩემმან, იტყვის თიფლისელთ კათოლიკებთ, რომელთა უანგარიშო სიკეთე უყავი, დამიტევეს მე და შემცოდეს, და რომლისა მიზეზისათვის?” (II, 41). ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ხელშესახები ცხადყოფით, ღმერთი, რა თქმა უნდა, მიმართავს სწორედ ცალკეულ, ერთეულ, კონკრეტულ ადამიანებს, რომლებიც გეოგრაფიულად განსაზღვრულ ადგილას იმყოფებიან.

ტექსტების გაცნობა-შესწავლისას, ბუნებრივად წამოიჭრება შეკითხვა, მიემართება თუ არა ქართულად ნათქვამი სწავლება-ქადაგებანი ყოველთვის ერთსა და იმავე საკრებულოს თუ ისინი არა მარტო სხვადასხვა დროს, არამედ სხვადასხვა ადგილასაც წარმოითქვა, – მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა დასახლებაში ანდა, შესაძლოა, ტფილისის სხვადასხვა კათოლიკური თავყრილობის წინაშე. პასუხი, როგორც ჩანს, გარკვეულია, რადგან მქადაგებელი დროდადრო იმოწმებს ხოლმე ადრეულ ქადაგებებს და შეახსენებს მათ მსმენელებს, რითაც უზრუნველყოფს სწავლება-დამოძღვრის უწყვეტობას, როგორც თუნდაც ამ შემთხვევისას: “თუ მოიგონებთ, მსმენელნო, უწინდელს ქადაგებაში შეგატყობინე [...]” (II, 53).

აუცილებლად საჭიროა დახასიათდეს სწავლება-ქადაგებათა ენობრივი განზომილებაც, – რაკი ისინი ქართულად წარმოითქმებოდა და ქართულადაა დაწერილი: საგანგებო კვლევამდე, უკვე ამთავითვე, ნიშნეულია, რომ, არსებული ტექსტების გამოხატულად მდიდარი ლექსიკონისა და ორთოგრაფიულ შეცდომათა სიმცირის მიუხედავად, მათში მაინც თვალშისაცემია ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური უზუსტობანი, რაც განპირობებულია იმით, რომ მქადაგებელი და ქადაგებათა ჩამწერი, – სავარაუდოდ, ერთი და იგივე პირი, – ნამდვილად არაქართველი იყო: უცხოეთიდან ჩამო-

სული კათოლიკე მღვდელი, დადგენილი მოძღვრად ქართული კათოლიკური საკრებულოს სულიერ საჭიროებათა აღსასრულებლად.

მაგრამ არც ისაა არანაირად შეფარული, რომ მქადაგებელი არცთუ იშვიათად გამოთქვამს უკმაყოფილებასა და საყვედურს მორწმუნეთა მიმართ, მაგალითად, თუნდაც იმის გამო, რომ ქრისტიანი ახალგაზრდები სულაც არ გამოხატავენ სურვილს, იარონ ტაძარში, ჩაერთონ ღმრთისმსახურებაში და მონაწილეობა მიიღონ, როცა აღსრულდება საიდუმლონი (იქნება ეს აღსარება ან ზიარება), მიუხედავად იმისა, რომ მშობლები მათ მოუწოდებენ ეკლესიური ცხოვრებისა თუ გონიერი, თავშეკავებული ქცევისაკენ ყოველდღიურ გარემოში: “ეგების თქვენი მამანნი არ გიბრძანებენ, რომ მოხვიდეთ ლოცვაზე და წირვაზე, რომ ხშირათ გაენდოთ და ეზიაროთ? დიალ! და თქვენ რასა იქთ? ბრაზიანათ გახვალთ სახლისაგან და არათუ მარტო არ მოხვალთ ლოცვას და წირვაზე, მაგრამაც წახვალთ ბაზარში და იმ ალაგში, რომელში სულის დაკარგვის სათუო არის, და უფროსი ერთი, რაც არ უნდოდა, გექნათ, ამას შვრებით. ეგების არ გეტყვიან, რომ არ წახვიდეთ იმ ამხანაგებთანა, რომელნი ეშმაკისაგან უარესი არიან? დიალ! და თქვენ როგორ მორჩილობთ? ღმერთმან იცის!” (II, 518).

დაბოლოს, ნამდვილად საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, – განსაკუთრებით, ყოფის ისტორიკოსთა მხრივ, – რომ ერთ-ერთი ქადაგება ვრცლად აღწერს რიგითი, ჩვეულებრივი ქართული კათოლიკური საკრებულოს ჩვევებს, მორწმუნეთა ყოფაქცევას ტაძარში (განსაკუთრებით და დაწვრილებით, ღმრთისმსახურებისას), რაც გამოწვევას, მეტყველ სურათს ხატავს ეპოქისეული ყოველდღიურობის ცხოვლად წარმოსადგენად. მოძღვარი არ ფარავს თავის გულწაქლულობას და თავს არ იკავებს მძაფრი საყვედურის გამოთქმისაგან, როცა იგი მკაცრად მიმართავს კათოლიკე მორწმუნეებს იმის გამო, თუ როგორია მათი საქციელი, თუ როგორ უჭირავთ მათ თავი, როცა ისინი საყდარში იმყოფებიან, – მით უმეტეს, მღვდლის მიერ ზიარების საიდუმლოს აღსრულებისას.

როგორც აღიარებს მქადაგებელი, მას იმედი ჰქონდა, რომ ვითარება შეიცვლებოდა, გამოსწორდებოდა, მაგრამ ყოველდღიურად, მის თვალწინ, მდგომარეობა მხოლოდ უარესდება, რის გამო იგი ამგვარად მიმართავს თავის სამწყსოს: “მე აქამდისინ, რაგინდ მინახავს ამ წმიდა საყდარში თქვენი ურიგობა, მაინც დაგრწმდი თქვენის მოქცევის იმედითა, მაგრამ ამიტომ ვხედავ ყოველდღივ, რომ, მოქცევის მაგიერათ, თქვენი ურიგობა უფრო მოემატება” (II, 522).

ღირსშესანიშნავია, რომ კათოლიკე მღვდელმსახური, შედარების მიზნით, აღწერს, თუ როგორ იქცევიან სხვა აღმსარებლობათა მიმდევ-

ვარნი, – მუსლიმები, იუდეველები თუ წარმართები, – მათი საკუთარი რელიგიური რიტუალების აღსრულებებისას, რის შემდეგ, იგი დაუფარავად აცხადებს, რომ, მიუხედავად მათ მიერ აღიარებულ რწმენათა მცდარობისა, მათი დამოკიდებულება საკუთარ სატაძრო მოვალეობათა მიმართ უფრო გულისხმიერია და ნამდვილად აღსავსეა შესაბამისი მოწიწებით: “აჰ, სარწმუნოება, სარწმუნოება, სადა ხარ?! თათრები, რაგინდ ფინთნი იყვნენ, ჰურები, რაგინდ დაჟინებულები იყვნენ, და წარმართნი, რაგინდ დაბრმავებულნი იყვნენ მათი უცოდინარობისაგან, მაინც მათი სალოცავში ამდენის მორმუნებით¹⁸ და ნამუზიანობით დგებიან, რომ ჰქონიათ¹⁹, რომ ერთი დიად დიდი უპატიობა იყოს, თუ იმაში აღუუებენ, თუ იხველიან, თუ გაიზმორებენ; და კათოლიკებს, რომელნი აღვიარებენ, რომ საყდარში ჭეშმარიტი ღმერთი დგება, როგორც თავის სახლში, გულიანობა აქვს, რომ იმაში გაიციონ, ილაპარაკონ და ჰქნან უარესი საქმენი? აჰ, სარწმუნოება, სარწმუნოება სადა ხარ?! აჰ, კათოლიკეო, მარტო სახელით კათოლიკეო!” (II, 524).

ნიშანდობლივია, რომ მოძღვარი საჩინოდ მიჰნავს სახელით კათოლიკეობას – საქმით თუ ცხოვრებით კათოლიკეობისაგან. მას მიაჩნია, რომ საყდარში მოსვლა და ღმრთისმსახურებაზე დასწრება არ აქცევს ადამიანს კათოლიკედ (იგი ისევ “ურჯულოდ” რჩება!), ხოლო სარწმუნოება უნდა გამოიხატოს და დადასტურდეს ქმედითი დამოკიდებულებით: “აწ მითხარით, საყდრის შემაგინებელნო, ამისთანა საქციელი კათოლიკისა საქციელი არის ანუ ურჯულოსა? ურჯულოსა საქციელი არის და უარესი!” (II, 529-530).

საერთოდ, ამ ადამიანთა ქცევა ტაძარში, როცა ღმრთისმსახური წირვას აღავლენს, – ნებისთი თუ უნებლიეთ, – გამოხატავს უპატივცემულობას იმის მიმართ, რაც იქ ხდება: “საყდარში იცინიან, ლაპარაკობენ; ძრახვენ, ვინც გადის; ვინც შედის, უყურებენ” (II, 525). კიდევ მეტი, “ზოგერთნი ჯდებიან შესაწირავის დროში; ზოგერთს თავსა ზედა ქუდი აქვს, როგორ თუ წვიმას, ანუ თოვლის ქვეშ იქმნებოდნენ; და ზოგერთნი სხვას არ იქმონენ, ფურთხვის გარდა. ერთი სიტყვით, საყდარში დგებიან იმგვარათ, რომ დგებიან ბაზარში. თუ ვლაპარაკობთ ჩაცმაზედა, უფრო დიდი უნამუზობა არ იპოვება, თუ არ საყდარში” (II, 528).

მღვდლის უკმაყოფილებას იწვევს ის ქალები, რომლებიც არ ავლენენ სარწმუნოებრივ მოკრძალებას, რადგან, როგორც აღწერილობიდან ჩანს, მეტისმეტად ზრუნავენ გარეგნობისა თუ ტანსაცმლის სილამაზის გამო, რითაც უგულვებელყოფენ ტაძრის მნიშვნელობას:

18 სავარაუდოდ, უნდა იყოს: “მორწმუნებით”.

19 სავარაუდოდ, უნდა იყოს: “ჰგონიათ”.

“ქალები და დედაკაცები, რომელნი მოვლენ საყდარში [...] ხატვრობითა პირზედა და ტანისამოზე, რათა აჩვენონ, რომ ლამაზი არიან [...], მაგრამ მათი სიმდიდრით და უნამუშის ტანისამოსით მასხარათ აგდებენ საყდარსა” (II, 528-529).

ყმაწვილთა მოქმედება კი, მქადაგებლის აზრით, საერთოდ, აღმაშფოთებელია, – როგორც ჩანს, ბავშვების აღსაზრდელად და მათთვის ქცევის წესების სასწავლებლად მშობლები სულაც არ ზრუნავენ: “მე არ გეტყვი, რას იქმონენ ყმარწვილები, არ გეტყვი, ამიტომ ასრე ცხადათ არის, რომ ისივე ბრმებიც ხედვენ: არათუ მარტო იცინიან, ხუმრობენ და თამაშობენ, მაგრამაც ჩქუბობენ, და უარესი რომ არის, როდის სხვანი მიდიან ტრაფეზე²⁰ წმიდა ზიარების საიდუმლოს მიგებად ხელით, და ნემსით აცდენენ და უჩხლეტენ” (II, 529).

ამგვარი აღწერილობა, სადაც ასახულია ადამიანთა ყოველდღიური ჩვევები, სულაც არაა ხშირი ქართულ წყაროებში, რაც, – კიდევ, დამატებით, – უთუოდ ზრდის ქადაგებათა ტექსტების მნიშვნელობას.

დასასრულ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ არაქართველი მქადაგებლის ქართულ სწავლებათა და ქადაგებათა კრებული, რომელიც არაერთ ასეულ გვერდს მოიცავს, – ამჟამად უკვე გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი მკვლევართათვის, – კიდევ ბევრ კვლევითს საკითხს არა მარტო წამოჭრის, არამედ გადაჭრის კიდევ. მაგრამ გამოცემას მოეპოვება არა მხოლოდ საარქივო-აკადემიური დანიშნულება, არამედ ცხოვრებისეული გამოყენების შესაძლებლობაც, რადგან ის აუცილებლად გამოადგება ყველა იმას, ვისაც ქრისტიანული მოძღვრების, – განსაკუთრებით კი, დასავლური ქრისტიანობის, – გაცნობა და მისგან სულიერი გამოცდილების შეძენა სწადია.

20 იგულისხმება: “ტრაპეზზე”.

Merab Ghaghanidze
The University of Georgia, Georgia
merabghaghanidze@yahoo.com
DOI: 10.32859/kadmos/16/183-197

A Collection of Georgian Sermons by a Non-Georgian Preacher

Abstract

Ilia State University recently published a collection of commentaries on the Bible and sermons, written in Georgian, in two volumes. The manuscripts of these texts, housed in two separate collections without mention of the preacher, are currently in the General Archive of the Order of Capuchins (Archivio Generale Cappuccini), in Rome. These teachings, it seems, were originally preached by a non-Georgian priest in the second half of the eighteenth century for Georgian Catholic believers. In the preface to the edition, the publishers suggest that the author was likely the Italian missionary Bernardino de Magliano.

The biblical commentaries include twenty-one texts, and the number of sermons stands at sixty-six. With such a large collection of writings now made accessible, over two centuries after they were printed, the need has arisen to clarify the meaning and value of the published texts, both as a whole and individually. It is necessary to give them a proper place not only in the Georgian homiletic heritage, which includes centuries-old remnants of Christian sermons, but also in the national history of Georgia, Church history, history of public life, cultural history, and intellectual history. Further study of the texts from linguistic, literary, and ethnological perspectives will undoubtedly bear fruit.

The manuscripts have not been preserved in their entirety, as evidenced by the fact that the Biblical explanations provided by the preacher concern only the text of one book of the Old Testament, the First Book of Kings.

The article assesses the general significance of this two-volume work and presents the value of the published texts for understanding Biblical or theological knowledge in the Georgian context of the time. Notably, in some sermons, the preacher addresses the believers from Tbilisi, indicating that the temple in which he served was located in Tbilisi.

The preacher considers it necessary to explain theological teachings, such as the concept of Purgatory, which is viewed differently by followers of the Roman-Catholic Church and the Oriental-Byzantine Church. In addition, the list of Church Fathers and Teachers referenced by the priest differs, although

special attention is given to the views of the Doctors of the Catholic Church, particularly St. Thomas Aquinas.

The descriptions of the everyday environment where divine service takes place are valuable for researchers. The preacher sharply assesses the attitude of believers towards being in the temple and participating in rituals. These descriptions will likely prove extremely useful to those studying how religion, culture, and intellectual movements shaped Georgia's history, making them essential reading for anyone studying that period.